სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/49

ქ. თბილისი 5 მარტი 2019

ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის
სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 5 მარტის 2019 წლის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე ინფორმატიკისა და მართვის სისიტემების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ, ქეთევან ავალიშვილს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხს წარადგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) სხდომაზე პროფ. ზ. წვერაიძე;

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გიორგი სალუქვაძე**